ნაზი ბორჩაშვილი

პანკისელი ქისტების ადათობრივი სამართალი

ვეინახი ხალხის წარმოშობის საკითხი დიდი ხანია მეცნიერთა კვლევისა და ყურადღების ცენტრში მოექცა. მეცნიერთა მიერ ჩამოყალიბებული შეხედულებისა და მსჯელობის მიხედვით შეუძლებელია ამ ხალხის წარმოშობაზე გადაწყვეტილებით რაიმის თქმა, რადგან ამ ხალხს დამწერლობა არ ჰქონდა და ისტორიული და ნივთიერი წყაროები კი მცირე მასალას იძლევა კავკასიაში მაცხოვრებელთა შორის „ყველაზე მებრძოლ და მოუსვენარ ხალხზე“. მართალია, მეცნიერ-მკვლევარები სხვადასხვა აზრს აყალიბებენ, მაგრამ ამოსავალი წერტილი საერთოდ კავკასიური ფესვების ძიებაზეა დაფუძნებული.

„ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ისტორია, – წერს ილია ჭავჭავაძე – მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენი ხალხის ცხოვრების შესახებ და თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ, მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზედ, რომლებსაც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილე-ობასა ისტორიაში. ერთი სიტყვით, ჩვენის შიდა ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა აუხდელია და უცნობი ჩვენგან. „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა და ხალხი კი როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული“ [1:176].

გენიოსი მამულიშვილის გულიდან ამოთქმული ტკივილი აათკეცებს ჩვენს ტკივილს, ტკივილს მამულიშვილისა, რომელიც კავკასიაში ყველაზე დატანჯული, ჭრილობამოუშეშებელი, იარაღმოუშორებელი, რამდენჯერმე გენოციდამდე დაყვანილი ხალხის, ერის წარმომადგენელია. კავკასიის აბორიგენი, კავკასიაში „ყველაზე საშიში და მოუსვენარი“, „ყველაზე ადვილად ფეთქებადი“, მებრძოლი და მეომარი, ერთგულებითა და გამტანობით, მეგობრობითა და ვაჟკაცობით შეუდარებელი ვეინახი ხალხის ისტორია და ბედი ბურუსითაა მოცული. ეს ხალხი, თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის დაბადებული, არავის უღელს არ დაიდგამს და პირველი არასოდეს წამოიწყებს უმიზეზოდ შუღლსა და მტრობას, მაგრამ თუ რომელიმე გაბედავს, წარბს არ დაუხრის, შეაკვდება და შეურაცხყოფას არავის შეარჩენს და თავისუფლებას არ დათმობს. ამის გამოძახილი ვეინახების ყოველდღიურ ცხოვრებაშია.

„ჩვენ კატეგორიულად ვამტკიცებთ, – წერს ჩეჩენი ხალხის საამაყო შვილი ზაინდი შახბიევი, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში არ არის არც ერთი მცირერიცხოვანი ერი, ხალხი, რომელთანაც ასე ადვილად იყოს მოლაპარაკება და დამორჩილება ხელისუფლებისადმი, თუ ჭკვიანურად იმოქმედე მის გონებაზე, თუ არ შეურაცხყავი მისი ეროვნული დიდება, რელიგიური გრძნობა და პიროვნული ღირსება“ [2:37].

ვეინახებს თავის სიმღერებსა და ლეგენდებში უყვართ თავიანთი გმირების შედარება მგელთან. მთიელთა შეხედულებით მგელი ყველაზე პოეტური ცხოველია. „ლომი და არწივი, – ამბობენ ისინი, – გამოხატავენ ძალას, მაგრამ მაინც ითვლებიან სუსტებში, მგელი კი ძლიერია, შეუბრალებელია და მხოლოდ შემთხვევის ბოლო მომენტში ამჟღავნებს განუსაზღვრელ შეუბრალებლობას, გამბედაობას და მოქნილობას“, „მგელი ყოფითი თავისუფლებაა. მისი შინაგანი ბუნება თავისუფლებაა“ [3:6].

საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, უძველესი დროიდან, მთიულეთში, თუშეთში, ხორბალოში, ალვანში, ერწო-თიანეთში, ხევსურეთში და სხვა ადგილებში გადმოსახლებული ვეინახები ძირითადი ნაწილი ასიმილირებული იქნა ადგილობრივ მოსახლეობაში, ხოლო მცირე ნაწილი XIX ს. I ნახევრისათვის გადასახლდა პანკისის ხეობაში და საბოლოოდ დასახლდა იქ. თან ამ დროს უკვე დაწყებული იყო ჩეჩნეთის მთიანი რეგიონებიდან ვეინახების – ქისტების გარკვეული ნაწილის საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ პანკისის ხეობაში დასახლების პროცესი.

„პანკისის ხეობაში კომპაქტურად დასახლებულმა ქისტებმა შემოინახეს მშობლიური ენა და თვითმყოფადი, ძველი სამშობლოდან გადმოტანილი ტრადიციები“ [11:7].

მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ადათობრივი სამართალი – ჰიელ.

ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან სხვადასხვა დროს საქართველოში გადმოსახლებულმა ქისტებმა თან ჩამოიტანეს მშობლიური ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, რასაც დღემდე არ ივიწყებენ და დრო-ვითარების შეცვლის მიუხედავად მტკიცედ ებღაუჭებიან.

ერთ-ერთი ასეთი მშობლიური ტრადიციიდან, წეს-ჩვეულებიდან აღსანიშნავია ჩვეულებითი ადათობრივი სამართალი, რომელიც ქისტებში ცნობილია – ჰიელ-ის სახელწოდებით, და რომლის ფესვები ღრმად არის შეჭრილი წინა საუკუნეებში. ჰიელის უპირველესი და ერთადერთი მიზანი იყო სამართლიანობა (ნიისხუა) და დემოკრატიულობა. ეს იყო სამართლიანობის გარანტია და უდიდესი მისია და აღიარება იყო იმათი, ვინც ამ

ჰიელში იღებდა მონაწილეობას. არავის არ შეეძლო ტყუილით მოსულიყო, ან არ დაეცვა თავისი ხალხის წესჩვეულებები, რაც სამართლის საქმეს ეხებოდა.

საერთოდ, სოციალურ ურთიერთობათა ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადათობრივ ჩვეულებით სამართალს, მის წარმოშობა განვითარების პროცესს და მის ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ადათობრივი სამართალი, არქაული ყოფის, წინაკლასობრივი საზოგადოებრივი ყოფის ერთ-ერთი კომპონენტია, რაც ქისტების ყოფით ცხოვრებაში გადმონაშთის სახით დღემდე მოქმედებს თემურ-გვაროვნული წყობის სხვა ანალოგიურ მოვლენებთან ერთად.

პანკისელი ქისტების ჩვეულებითი სამართლის შესახებ მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული მასალები აქვს გამოქვეყნებული ლ. მარგოშვილს. ჩვენ შევეცდებით არსებული მასალების, ასევე ველ-ზე ჩვენ მიერ მოპოვებული ცნობებისა და ყოველდღიურ ქისტების ყოფაში არსებული ადათობირივი სამართლის ანალიზსა და დროთა ვითარებაში, ახალ გარემოცვაში წარმოშობილი ცვლილებების გამოკვლევას.

ქისტური ადათობირივი სამართალი – ჰიელ, არეგულირებდა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს – სოციალურს, მორალურს, პოლიტიკურს, ეკონომიკურს. თითოეული ეს სფერო მოიცავდა მთელ რიგ მიკრო სფეროებს. მაგალითად, მორალურ სფეროში ერთიანდებოდა – ქურდობა, ცილისწამება, მრუშობა, ღალატი და სხვა. ეკონომიკურ სფეროში – მიწაზე დავა, სოციალურში – სისხლ-მესისხლეობა, დაჭრა-ჭრილობა და სხვა. ამ სფეროებსა და მიკროსფეროებს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა, რადგან ერთი რომელიმეს დარღვევას შეიძლება გამოეწვია სხვა დანაშაული. მაგ. ქალის მოტაცებას შეიძლება მოჰყოლოდა სისხლის ღვრა, გადამტერება, ფიზიკური, თუ სიტყვიერი შეურაცხყოფა, ოჯახის გაყრა, მიწასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, რაც ბოლოს შეიძლება სისხლ-მესისხლეობით დამთავრებულიყო.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ყოველი ერის სამართლის წარმატება, მეტადრე სისხლის სამართლის წარმატება-წარმოება, ისევე როგორც სასჯელთა სისტემასა და სიმკაცრეს დაეტყობა ხოლმე. რაც უფრო კულტურული და ცივილიზებულია ესა თუ ის ხალხი, მით უფრო განვითარებულია მისი სამართლებრივი ინსტიტუტები, მით უფრო ჰუმანური და ლმობიერია სასჯელები [12:6]. რის თქმაც არ შეიძლება ქისტების სისხლ-მესისხლეობის ტრადიციებზე, სადაც მკაცრად მოქმედებს კანონი „სისხლი-სისხლის წილ“.

ქართული ზნე-ჩვეულების აღწერისას ვახუშტი აღნიშნავს: „ხოლო წესნი სამართლისა და შერისხვისათვის (არსებობდა) აქუნდათ სისხლი ჴრმალი, შანთი, მდუღარე და ფიცი“. სისხლს იგი უწოდებს მოკლულის საპასუხოდ მკვლელის ან მისი ნათესავის მოკვლას [13:18-19]. აღნიშნული შინაარსი საფუძვლად უდევს ვეინახურ „წიი-იეცარ“-ს, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს სისხლის აღებას. ამ სახის დანაშაული განსაკუთრებით მძიმედაა მიჩნეული ჩვეუ-ლებით სამართალში. ვახუშტის მიერ მოყვანილი სამართლის წესებში წეს-ჩვეულებებიდან პანკისში მაცხოვრებელ ქისტებში დგინდება სისხლის აღება და ფიცი. ამასთან, მათ ყოფაში იყო დანაშაულის გამოტეხვის სხვადასხვა საშუალებებიც.

ადათით ძირითადად იხილებოდა ისეთი საქმეები, რომლებიც ეხებოდა ქურდობას, ქალის მოტაცებას, ქმრისა და ცოლის ურთიერთობას, ქონებრივ უთანხმოებას, შვილებისა და მშობლების ურთი-ერთმემკვიდრეობის საკითხებს და სხვ. უფრო დიდი სისხლის სამართლებრივი დანაშაული, როგორიც იყო მკვლელობა, დაჭრა, გაუპატიურება და ა.შ. ხშირად წყდებოდა შურისძიების უფლებით ანუ სისხლის ადათებით.

ქისტური ადათობრივი სამართალი დაუწერელი კანონებით მოქმედებდა, ხელმძღვანელობა, რომლებიც მძლავრი ტრადიციის წყალობით თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ქისტურ სამართალში – ჰიელ-ში მონაწილე მოსამართლეს – ჰიელხუა-ს უწოდებენ. ორივე მხრიდან თითო მედიატორი-მოსამართლე ჰყავთ და მათ – ჰიელხუა. – ეწოდებათ. ეს საქმიანობა შთამომავლობით არ გადადიოდა. ადათის მცოდნე კაცები ერთეულები იყვნენ და არიან. ისინი გამოირჩეოდნენ თავიანთი ჭკვა-გონებით, მეხსიერებით, სიტყვა-პასუხით, ტაქტიანობით, სიდინჯით, სამართლიანი გადაწყვეტილებით.

ქისტურ ადათობრივ სამართალში – ჰიელ-ში ძალიან ხშირად იხილებოდა და იხილება ქალის დანიშვნა-გატაცებასთან დაკავშირებული საკითხები, რადგან მიუხედავად სიმკაცრისა და წინააღმდეგობისა ქისტების ყოველდღიურ ცხოვრებაში ქალის დაუკითხავად დანიშვნა და ქალის წინააღმდეგობის მიუხედავად მოტა-ცების შემთხვევები დღესაც გვხვდება.

ეს ტრადიცია, თუ წეს-ჩვეულება ქისტებს სამშობლოდან გამოჰყვათ. მთიელებში ქალის მოტაცება, როგორც რისკთან, ასევე დიდ ვაჟკაცობასთან იყო დაკავშირებული. ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუახანებში ვეინახების შესახებ ა. ბერჟე წერდა: „ვეინახებში არსებობდა საშინელი წეს-ჩვეულება. ახალგაზრდა ბიჭი მოელაპარაკებოდა თავის ტოლ ბიჭებს – ძმაკაცებს, რომ

მოეტაცათ გოგო და თავის სახლში მოეყვანათ. ამისათვის ისინი იყენებენ ხელსაყრელ მომენტს და გოგოს სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად მოჰყავთ ბიჭის ოჯახში, სადაც ამხანაგები ჩაკეტავენ ორივეს ოთახში, თვითონ კი ახლოში ტრიალებენ, რომ არავინ შევიდეს. სანამ არ გამოიძახებენ ყველასთან თანსწრებით, რათა ქალმა გამოაცხადოს დარჩება თუ, წავა მშობლებთან, რა თქმა უნდა. მას იძულებულს გახდიან დარჩეს გამტაცებელთან და ამის შემდეგ ის ხდება მისი კანონიერი ცოლი“ [15:98].

ველზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მონაცემებით, ქისტებში ოდითგანვე ქალის მოტაცება ქორწინების ჩვეულებრივი ფორმა ყოფილა. ცხოვრებაში მოტაცების ხშირი შემთხვევები იყო, რაც შემდეგ ყოფაში დამკვიდრდა და ჩვეულებად იქცა. თუმცა, მას ხშირად მოჰყვებოდა „ჰიელ“-ის გადაწყვეტილებით მოტაცებასთან დაკავშირებით დაწესებული ღირებულების გადახდა.

ქალის მოტაცებით წაყვანა წესად ჰქონიათ საქართველოში მაცხოვრებელ მთიელებს – თუშებს, ხევსურებს, ფშავლებს, სვანებს...

ქისტურ ჰიელ-ს თავისი კანონები და მუხლები ჰქონდა. ყოველი მუხლის ამოსავალი წერტილი იყო, რომ ქალის თანხმობის გარეშე არ უნდა მომხდარიყო არავითარი დანიშვნა-გათხოვება. მიუხედავად ამისა, ქისტების ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავი ფაქტებია, რომ გოგო სასტიკი წინააღმდეგია და მაინც ნიშნავენ და იტაცებენ. გოგოს აზრი მშობლებსაც ნაკლებად აინტერესებთ და სადაც ჩათვლიან რომ მათი ოჯახისა და გვარ-ტომის შესაფერისი ოჯახია, სიამოვნებით აძლევენ ქალს. მოტაცების შემდეგაც ხშირია შემთხვევები, რომ გოგოები არაფრით არ ეგუებიან თავიანთ ბედს და მამის ოჯახში ადრე თუ გვიან ბრუნდებიან.

სოფ. დუისში მაცხოვრებელი გოგონას ნიშნობა ბიძამ აიღო. გოგო საერთოდ აზრზე არ იყო, მოსკოვში სწავლობდა და შეყვარებულიც ჰყავდა. როდესაც ჩამოვიდა და გაიგო თავისი დანიშვნის ამბავი, ყველა ღონე იხმარა, ნიშნობის ფული უკან დაებრუნებინა მშობლებს. ბიძა მამამისზე უფროსი იყო და მამამ განუცხადა: ჩემი ძმის გაკეთებული საქმეა, იცხოვრებ, გაჰყვები, მე ჩემს ძმას უხერხულობაში არ ჩავაგდებო. გაჰყვა გოგო დანიშნულს, ქორწილიც გადაიხადეს, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ წამოვიდა მამის ოჯახში. მამამისმა, რაც კი ბიჭის ოჯახმა ხარჯი განიცადა, დანიშვნიდან ქორწილამდე, ისიც და ცალკე – „ცაიოშუნ“ – ბიჭის დაწუნებისა 30 ძროხის საფასური გადაიხადა. მოგვიანებით გოგონა შეყვარებულ ბიჭს გაჰყვა და დღესაც ბედნიერად ცხოვრობს, თუმცა ასეთი საქციელი საზოგადოებაში მოწონებას არ იმსახურებს.

ეს შემთხვევაც სოფ. დუისში მოხდა. მეშვიდე კლასელი გოგონას ნიშნობა დედამ აიღო. გოგო სასტიკი წინააღმდეგი წავიდა. სახელმწიფო კანონითა და ქისტური სამართლით განიხილეს. კანონის წინაშე დედამ უარყო თავისი აღებული ნიშნობის ფული, რაზეც დედა რამდენიმე დღით დააკავეს კიდეც. ბოლოს აღიარა დედამ თავისი დანაშაული და მას დაევალა უკან დაებრუნებინა აღებული ფული და გოგო განთავისუფლებულიყო დანიშნულისაგან. ხალხურმა სამართალმა „ჰიელ“-მა დედას დააკისრა ცხრა ძროხა, რადგან ფული აღებული ჰქონდა და ეს ბიჭისა და მისი ოჯახის შეურაცხყოფად ითვლებოდა. გოგოს ოჯახმა გადაიხადა დაკისრებული სამი ძროხა. სამი ძროხის საფასური და მესამე ნაწილი სპილენძის სახით. მიუხედავად ამისა, როდესაც გოგო სხვაგან გათხოვდა, ამ ორ გვარს შორის ჩამოვარდა მტრობა. პირველად დანიშნულის ოჯახმა გოგოს ქმარეულებს ნახევარი სისხლის ფასი, 30 ძროხა დააკისრა.

სოფ. ომალოში მაცხოვრებელი გოგონა გვარის უფროსთან შეთანხმებით, (ოღონდ გოგო სასტიკი წინააღმდეგი იყო) მოიტაცეს, მაგრამ გოგო არაფრით არ გაჩერდა. ქისტურმა „ჰიელ“-მა მომტაცებლის ოჯახს დააკისრა ათი ძროხის საფასური. ბიჭს უნდა დაეფიცა, რომ გოგოსთვის ხელი არ მიხლის და ქალწულიაო, მაშინ იხდიდა (5) ხუთი ძროხის საფასურს, მაგრამ ქისტებში ფიცის იმდენად ეშინიათ, რომ მართალზე დაფიცებასაც გაურბიან. ამიტომ ბიჭის ოჯახმა გოგოს ოჯახს გადაუხადა 580 ლარი და გოგო რამდენიმე დღეში სხვას გაჰყვა და ამით დამთავრდა მთელი ისტორია.

რამდენიმე წლით ადრე, თუ ქალის ოჯახი მომტაცებლისაგან ფულს აიღებდა, მაშინ დაგაეკიდებოდნენ და ისევ წაიყვანდნენ ქალს ბევრს უარი უთქვია „ჰიელ“-ის გადაწყვეტილ თანხაზე, ოღონდ ქალის თავი დაანებეთ და თქვენი არაფელი გვინდაო. დღეს კი თითქოს ვალდებულებად იქცა ადათობრივი სამართლის დაცვა და მისი გადაწყვეტილების მიღება.

მიმდინარე წლის აპრილში, მე-10 კლასის მოსწავლე გაიტაცეს, იმ დღესვე, გზაშივე დაეწივნენ მშობლები და წაართვეს გოგო, აქაც სასამართლომ გოგოს ოჯახს 580 ლარი არგუნა და ასევე გოგო თავისუფალი უნდა ყოფილიყო ბიჭის მხრიდან. ესეც გადაწყვეტილებისამებრ შესრულდა.

ქისტებში ამ ბოლო დროს მომრავლდა გატაცებები, ბევრი ეგუება ბედს, ბევრი თავის ბედს სხვაგან ეძებს.

ჩვეულებითი სამართალი ეხება საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა ელემენტებთან.

აქ შედის საკითხები ოჯახის კეთილდღეობის, შთამომავლობის სიმტკიცის, სასამართლო დისციპლინის, მისი როლის და აქტივობის შესახებ. მნიშვნელოვანი როლი უკავია გვარს – თეიფს, რომელიც ხასიათდება თეიფიზმის სასამართლო ინსტიტუტით, თავისი სამართლის უპირატესობით, გვარის წევრთა წინაშე ვალდებულებებით.

ხალხური სამართალი, რომელიც ადათის ნორმებით ხელმძღვანელობს, თემობრივი საზოგადოების გადმონაშთია. იგი დამნაშავესა და დაზარალებულს შორის შუამავლის როლს თამაშობს. სისხლ-მესისხლეობა ქისტებში ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია, რომელიც ბოლო დრომდე თავის ფუნქციებს ინარჩუნებს. ეს ფორმა, სისხლის აღებისა, ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიის ცენტრალური მთიანეთის მცხოვრებთა შორის: ვეინახებში, დაღესტნელებში, ოსებში, ასევე საქართველოს მთიან რეგიონებში – ხევსურებში, თუშებში, ფშავლებში, სვანებში და ა.შ.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, მკვლელის გვარი მოწყვეტილი იყო საზოგადოებისაგან, ყოველგვარი მეურნეობისაგან, სანამ საკითხის გარჩევა მიმდინარეობდა. მთელი სოფელი, ხეობა დადგება ფეხზე, რათა შურისძიება არ მოხდეს, სისხლი არ დაიღვაროს, ეს რა თქმა უნდა მოგვიანებით შემუშავებული ჰუმანური ჩვევებია, თავიდან სასტიკი კანონი მოქმედებდა: „სისხლი – სისხლის წილ“. მაგრამ ბოლო ათწლეულებში მხედველობაში მიიღებოდა შემთხვევითი მკვლელობის ფაქტები და შურისძიებას ყოველთვის შერიგებას ამჯობინებდნენ. მაგ. სოფ. ომალოში მაცხოვ. გორგიშვილმა იდრიზამ (აწ გარდაცვლილია) თავისი ერთადერთი მემკვიდრის მოკვლა აპატია სოფ. დუისში მაცხოვრებელს, რადგან შემთხვევას ჰქონდა ადგილი. ახალგაზრდა ოჯახში სტუმრად იყო მანქანით, წამოსვლისას ბავშვი გამოეკიდა და მანქანამ გაიტანა. მამამ თვითონ მოაყვანინა შვილის მკვლელი, ხალხში გადაეხვია და უთხრა: „მე მიპატიებია, ღმერთმაც გაპატიოსო“. ასევე, ხალაწანში მაცხოვრებმა ცათიაშვილმა ჯარაფამ აპატია შვილის მკვლელს, მასაც ერთადერთი მემკვიდრე ჰყავდა და აქაც სწორედ შემთხვევას ჰქონდა ადგილი და ბავშვი მანქანამ გაიტანა. ამ შემთხვევით მომხდარ უბედურებაზე არც ხალხური სასამართლო შეკრებილა და არც რაიმე გადასახადი დაკისრებიათ.

სისხლის საფასური – ჴჰჲე. ხეობის სოფლების მიხედვით სხვადასხვა ყოფილა. მაგალითად: თავდაპირველ სამშობლოში სისხლი ღირებულა 123 ძროხა, ან 123 თუმანი ვერცხლი. პერიოდში, მეზობელ სოფლებში კი სხვადასხვა ჩანს. საველე ეთნო-

გრაფიული მასალებით, სოფელ ჯოყოლოში კაცის სისხლი შეფასებულია 70 ძროხად ან 70 თუმნად. სოფელ დუისში 63 ძროხად ან 63 თუმნად. გადასახადი სამ ნაწილად იყოფოდა: ერთი ნაწილი საქონელი, მეორე ნაწილი ფული და მესამე წილი სპილენძი უნდა ყოფილიყო [II:43-44].

მკვლელობასთან დაკავშირებით ქისტური ადათობრივი სამართალი იცნობს შემდეგ ტერმინებს: „ხაუშ“ – განგებ მოკვლა, „ვიინიჩ დოხალ“ – მოკლულის სანაცვლოდ, „ბიეხქანც“ – ღალატით, „თვიეშავინ“ – დანდობით, რომლებიც განზრახ მკვლელობის მნიშვნელობით იხმარება და ტერმინებს: „ცახაუშ“ – შემთხვევით, „მოთალიშგ“ – უცაბედად, „ბიეხქ ბოოცუშ“ – უდანაშაულოდ, „საგ ხარჩარ“ – კაცის შემოკვდომა, რომელშიც გაუფრთხილებლობის ან შემთხვევითობის ცნებას დებს. ამ ტერმინებს შორის განსხვავებულობის კრიტერიუმი, როგორც აღვნიშნეთ, გაუფრთხილებლობით ან შემთხვევით ჩადენილი მკვლელობის დროს გაიოლებული იყო შერიგება.

როგორც სახელმწიფო სამართლის კოდექსში, ასევე ხალხურ სამართალში – ჰიელ-შიც არსებობს მუხლები ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და სიმსუბუქისა, – ამბობს პანკისის ხეობის ერთ-ერთი მედიატორი – ჰიელხუა – ბუღდან გორგიშვილი. რა თქმა უნდა შემთხვევით ჩადენილი მკვლელობა ან დანაშაული ადვილი და იოლი მოსაგვარებელია, ვიდრე განზრახ მკვლელობა. შემთხვევითობაზე, თვითონ ოჯახები შერიგებულან ყოველგვარი ხალხური გარჩევის გარეშე. ეს ცალკეულ პიროვნებათა შინაგან სიძლიერეზე, ჰუმანურობასა და სულგრძელობაზე მიუთითებს. „დეელ ჰიელ იეთან“ ღმერთის სამართალია, წინ ვერ დავუდგებითო, – იტყვიან ხოლმე.

მსგავსი მოვლენები ანალოგიას პოულობს საქართველოს მთიან რეგიონში: სვანებში, ხევსურებში, თუშებში და ა.შ. შემდგომში წესი „სისხლი – სისხლის წილ“ შეცვალა კლასობრივ საზოგადოებაში შექმნილმა კომპოზიციამ – სისხლის გადახდის წესი მატერიალური ფასეულობით. მიუხედავად ყოველივე ამისა, სისხლის აღება ეს ისეთი კერპული და გაუდევნელი ჩვეულებაა, რომ, ვერც დროებამ, ვერც ბევრნაირმა საცდელმა ადმინისტრაციამ ვერ აღმოფხვრა.

საველე ეთნოგრაფიული მასალით მტკიცდება, რომ არც ერთ დაზარალებულ ოჯახს არ ჰქონდა სურვილი სისხლის საფასურის აღებისა. ყველას მიზანი ერთი იყო: „სისხლი – სისხლის წილ“. ეს არის ქისტებში სისხლ-მესისხლეობასთან დაკავშირებული, სამართლის ამოსავალი პრინციპი და ასეთივე პრინციპი იყო ქართველ მთიელთა ყოფა-ცხოვრებისათვისაც დამახასიათებელი.

ქისტებში შურისძიების, სამაგიეროს გადახდის პრინციპი ძველია და კვლავაც ძლიერად მოქმედებს. „მაშინ შენ რა კაცი ხარ, თუ დაგარტყეს და არ დაარტყი, დაგჭრა? – დაჭერი, მოგიკლა ვინმე? მოუკალი, ვინც შურს არ იძიებს, სამაგიეროს არ გადაუხდის და სისხლს შეარჩენს, ის კაცი არ არის!“ – ამბობს ყოველი ქისტი. არსებობდა სამართლიანი მართალი, რომელიც დარტყმისთვის – დარტყმას, მოკვლისთვის – მოკვლას ქადაგებდა.

მკვლელის საგვარეულოში შურისძიების ობიექტად გამორჩეულ, ღირსეულ ვაჟკაცს არჩევდნენ. ჯაბან და უხეირო კაცს არ მოჰკლავდნენ. სისხლის ასაღებად არ ჩქარობდნენ, სანამ გვარში კარგი ვინმე არ გამოიკვეთებოდა და არ გაიზრდებოდა. დაზარალებულები ღამ-ღამე უსაფრდებოდნენ. სახლში შესვლასა და მოკვლას ერიდებოდნენ, რადგან ასეთი რამ მკვლელობაზე მძიმე დანაშაულად ითვლებოდა. საქმის გარჩევის დროს, ამის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. თუ სისხლი სისხლთან გათანაბრდებოდა, ოჯახში შევარდნისა და კერის შეურაცხყოფის საზღაურს თავდაპირველ დაზარალებულს დააკისრებდნენ, რადგან ამისთვის არსებობდა ცალკე საზღაური. შემორიგების შემდეგაც მკვლელი და მისი ნათესავები ქედს იხრიან და გზას უთმობენ დაზარალებულს.

სისხლ-მესისხლეობის გახანგრძლიება, დამნაშავის გვარისა და ოჯახის მძიმე, აუტანელ მდგომარეობაში ჩაყენება, დაზარალებულთა სიჯიუტეზე იყო დამოკიდებული. – გვიყვება მთხრობელი. ხშირად დამნაშავეთა გვარის მამაკაცები და მოზარდი თაობა სოფლიდან იხიზნებოდა და ჩეჩნეთ-ინგუშეთში გადადიოდა. მაგ.: სოფელ ჯოყოლოში მაცხოვრებელმა უმარაშვილმა ახიადამ მოკლა სოფელ ბირკიანში მცხოვრებელი ცათიაშვილების ახალგაზრდა ბიჭი, რის გამოც უმარაშვილების მთლიანი გვარი ოჯახებით გადასახლდა გროზნოში. სოფელში დარჩა უმარაშვილი მახმადას, ხუთი ობოლი, რადგან მახმადა უკვე დაღუპული იყო და ბავშვები პატარები იყვნენ. სანამ ეს პატარები წამოიზარდებოდნენ, რამდენჯერმე წამოიყვანეს გროზნოდან ავტორიტეტიანი უფროსი ხალხი და ბოლოს, როგორც იქნა შემოირიგეს დაზარალებული ოჯახი, გვარი. მისცეს სისხლის საფასური, 63 ძროხის საფასური – 21 ძროხა ფეხზე, 21 ძროხის საფასური და 21-სა კი სპილენძი; ეს რომ არა, შეიძლება კვლავ სისხლი დაღვრილიყო. თანხმობის შემდეგ მკვლელს ჩააცვეს თეთრი სუდარა, წაიყვანეს მოკლულის საფლავზე და დააწვინეს. მკვლელი უნდა იწვეს იმდენი ხანი, სანამ ამ დაზარალებულიბიდან ვინმე არ წამოაყენებს. წამოსაყენებლად მისული მკვლელის ახლობელი

ჩასძახებდა: „მოვიდა შენი მკვლელი და იმ ქვეყნად წყალი უნდა გიზიდოს“ და სხვ.

დამნაშავეზე თეთრი სუდარის ჩაცმის ფაქტი დავაფიქსირეთ დაჭრის შემთხვევაშიც. მაგალითად: დალისყურელმა ქართველმა დაჭრა სოფელ ომალოში მაცხოვრებელი იმედაშვილი, ორი თვე ლოგინად იწვა და სიკვდილს ძლივს გადარჩა. მერე ხალხი დატრიალდა შესარიგებლად. როგორც იქნა შეთანხმდნენ, იმ პირობით, რომ დამჭრელი უნდა მოსულიყო, თეთრი სუდარა ჩაეცვათ და სასაფლაოზე გაეყვანათ. მართლაც, ჩააცვეს თეთრი სუდარა, წაიყვანეს სასაფლაოზე. მალევე უკან წამოიყვანეს ოჯახში (იმის ნიშნად,რომ დაჭრილი სიკვდილის სარეცელზე იწვა). ეზოში დააწვინეს, გადააფარეს მიტკალი, მაგრამ მალე წამოაყენეს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიხადეს შესარიგი. დამჭრელმა გადაიხადა დაჭრილისა და მკურნალობის დაკისრებული საფასური.

ეთნოგრაფიული მასალებით ქისტებში სისხლ-მესისხლეობა მოსდევდა ოჯახის, ქალის შეურაცხყოფას, ძალადობას, დედის, დის, ცოლის შეუფერებელი სიტყვებით გალანძღვას და ა.შ.

სოფ. ბირკიანში მაცხოვრებელი ქუშანაშვილების ქალი, გათხოვების პირველ ღამეს გაჰყვა სხვას, გაიპარა ქმრის ოჯახიდან. ამასთან დაკავშირებით, ადათობრივმა სამართალმა ჰიელ-მა მეორედ წამყვანს დააკისრა სისხლის საფასური. მთელი გვარი (ფარეულიძეების გვარი იყო), წილში ჩავიდა და პირველად წამყვანის ოჯახს 63 ძროხის საფასური, ზემოთ როგორც აღვნიშნეთ სამ ნაწილად გადაუხადა და თან შეკაზმული ცხენიც მიართვეს.

პანკისის ქისტებში ხალხურ სამართალს ბევრჯერ რთული საკითხების განხილვა უხდებოდათ და ხშირად უცნაური და შეუსაბამო იყო მათი გადაწყვეტილებები. მაგალითად, ცოლის გალანძღვისა და შეურაცყოფისათვის მეუღლემ, რომელიც მილიციის მუშაკი იყო, დააჭერინა დამნაშავე, რომელიც ოჯახში შემოვარდნით შეურაცხო ოჯახი და გალანძღა ცოლი. დამნაშავეს სამი წელი ციხე მიუსაჯეს. როდესაც გამოვიდა ჰიელ-მა დააკისრა დაზარალებულს გარკვეული თანხის გადახდა, სამი წლით კაცის ოჯახს მოწყვეტის გამო და თან ძმობა დააფიცეს, რომ, რაიმე გართულების ადგილი არ ჰქონოდა.

ყოფილა ასევე შემთხვევები, მაგ: ქურდმა მოიპარა ცხენი, გზაზე ცხენი დაფრთხა, ქურდი ჩამოაგდო და მოკვდა. ჰიელ-მა დაადგინა, რომ ქურდის ნათესავებს ცხენის პატრონზე შურისძიების უფლება ჰქონდათ. ან კიდევ, ცხვარს მთაში ძოვის დროს ფეხით ქვა ჩაუგორებია. ქვევით შემთხვევით მთიბავ მუშაკაცს მოხვედრია ქვა და კაცი ადგილზევე გარდაიცვალა.

იმ კაცის სისხლი, ცხვრის პატრონს აზღვევინეს. მაგრამ ბოლო პერიოდში ასეთ უსამართლობას და განუკითხაობას ადათობრივ სამართალში ადგილი არ ჰქონია.

ასეთი უცნაური გადაწყვეტილებები ხალხში მოგონებად დარჩა და დიდი ხანია ძალა დაკარგა. ცოტა ქვევით განვიხილავთ, თუ რა გადაწყვეტილებები მიიღო „მეხვ ჰიელმა“, რომლის შემდეგ, ორი მკვლელობა მოხდა, მოკლეს ორი ქურდი. ერთი ცხენის მოსაპარად შესული, ოჯახის პატრონმა ესროლა და მოკლა, ხოლო მეორე ცხვრის მოსაპარად და ამასთან დაკავშირებით არავითარი სამართალი არ შემდგარა და ყველა აღნიშნავდა, რომ ჩვენც ასე მოვიქცეოდითო.

ბოლო ათწლეულში პანკისის ქისტებში მკვეთრად გამოიკვეთა სასტიკი კანონი – პრინციპი – „სისხლი – სისხლის წილ“, რაზეც მეტყველებს თითქმის მივიწყებული შურისძიების დანაშაულის სისრულეში მოყვანა. მაგ. სოფელ დუისში მაცხოვრებელმა ახალგაზრდა ბიძის (მამის ძმის) სისხლი 30 წლის შემდეგ აიღო. იარაღით მიადგა მინდორში მკვლელს და უთხრა: „შენ მოკალი თუ არა ბიძაჩემი აღიარე, თუ არა სულს გაგაფრთხობინებო...“ ფეხზე შეაყენა ავტომატი. „რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, შენ დაბადებულიც არ იყავი“, – უთხრა მკვლელმა. „მე ეხლა სისხლის ასაღებად მოვედი“, – უთხრა ბიჭმა და მოკლა მკვლელი. პირდაპირ სასაფლაოსკენ გაემართა, მივიდა ბიძის საფლავთან და ჩასძახა: „ეხლა მშვიდად იძინე, შენი სისხლი ავიღეო“, – უთხრა და წამოვიდა.

„წიი წადაარ“ – პირდაპირი მნიშვნელობით – სისხლის სახლში მოტანას ნიშნავს, მაგრამ ლოგიკურად იგულისხმება „სისხლის აღება“. ბოლო პერიოდში, რაც ქისტების მასიური გადასვლა-გადმოსვლა დაიწყო თავიანთ პირვანდელ სამშობლოში, მათ თითქმის გააძლიერეს შურისძიების პრინციპი. საქართველოში დასახლებიდან, დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ ქისტებში შერბილდა სისხლს-მესისხლეობასთან დაკავშირებული ადათი. სოფლის საზოგადოება, ხეობის უხუცესები სისხლ-მესისხლეობის კატეგორიული წინააღმდეგები იყვნენ. ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ დროულად მიეღოთ ზომები და დაპირისპირებული მხარეები შეერიგებინათ, რაც უმრავლეს შემთხვევაში დადებითად, მატერიალური ფასეულობის გადახდით მთავრდებოდა. მაგრამ დღეს ამის თქმა არ შეგვიძლია, რადგან ბოლო პერიოდში სისხლი მხოლოდ სისხლით ირეცხება. შარშან სოფელ დუისის მკვიდრმა გაიგო ვინ იყო მამის მკვლელი, რომელიც ქ. გაროზნოში ცხოვრობდა. ჩავიდა. შეხვდა იმ მკვლელს, უთხრა ვისი შვილიც

იყო, და სისხლი უნდა აეღო მამისა და იქვე ქუჩაში, ხალხის წინ ესროლა, მოკლა და წამოვიდა პანკისში. სოფელში მის შემოსვლას ახალგაზრდობა ოვაციებითა და ავტომატების ჰაერში სროლით შეხვდნენ. ატეხილი სროლით გაკვირვებულმა ვკითხეთ იმ სოფლის მკვიდრს და გვითხრა, რომ მამის სისხლის ამღები დაბრუნდა სოფელში და მთელმა სოფელმა მოუწონაო. ასეთი შემთხვევები მრავლადაა პანკისის ქისტებში.

ასევე ქისტებში, აქამდე უცნობი მოვლენები, მსუბუქ ყოფაქცევაზე დის, ბიძაშვილის მოკვლის შემთხვევები გახშირდა. ასეთი შემთხვევები ჩეჩენ-ინგუშეთში ხშირად ხდებოდა და ბოლო წლებამდე ქისტებში არც ერთ შემთხვევას არ ჰქონდა ადგილი, მაგრამ უკვე ბოლო ერთ წელში ასეთი ექვსი შემთხვევა მოხდა. როდესაც ერთ-ერთ დის მკვლელს ძმას ჰკითხეს: „არ გრცხვენია, და როგორ მოკალიო? მკვლელმა ძმამ უპასუხა: „მთელი სიცოცხლე თავდახრილ და შერცხვენილ სიარულს, მირჩევნია სისხლის მძიმე ტვირთი ვიზიდოო“. ასეთ ახალგაზრდებს ვაჟკაცებად თვლიან, ბიჭებში, საზოგადოებაში მაღალი სიტყვის თქმის უფლება აქვთ. მათ „ყვიეანახ კანთი“ – ვაჟკაცი ბიჭების სახელი რჩებათ. ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილაო – იძახიან, ხოლო სხვებს ვის ოჯახშიც საზოგადოებისთვის შეუფერებელი წევრი (მსუბუქი ყოფაქცევის) პიროვნება ტრიალებს, რაიმე კამათში მაშინვე წააყვედრიან: „შენ რომ კაცი იყო, შენს ოჯახს მიხედავდიო“...

საველე ეთნოგრაფიული მასალებით მტკიცდება, რომ ქისტებში, ისევე როგორც მათს პირველ სამშობლოში, ჰქონდათ „მეხქ ჯიელ“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს ქვეყნის საბჭოს. მოახქ (ქისტურად), ქვეყანას ნიშნავს, ხოლო ჯიელ – სასამართლოს. როგორც ასეთი, „მეხქ ჯიელში“ მონაწილეობას იღებდა ყველა სოფლიდან ჭკვიანი, ავტორიტეტიანი, მეტი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე უხუცესი. ისინი არჩევდნენ ხეობის საჭირბოროტო საკითხებს, იღებდნენ გადაწყვეტილებებს. ერთ-ერთი ასეთი ხეობის თავყრილობა შედგა, 1965 წლის 5 თებერვალს, სადაც განიხილეს ქისტებში მოქმედ ადათწესებში ცვლილებების შეტანის საკითხი და მიიღეს შესაბამისი დადგენილებაც:

„ჩვენ პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების სახალხო კრების რწმუნებით, ქვემოთ დასახელებულმა პირებმა, იგივე სახალხო კრების დავალებით შევიმუშავეთ ჩვენს ქისტ მოსახლეობაში ისტორიულად მოქმედ ადათ წესებში შემდეგი ცვლილებების შეტანა, სახელდობრ:

1. მკვლელობა, ე.ი. სისხლის აღებაში მოქმედ წესებში შეტანილი იქნება შემდეგი ცვლილება: თუ კაცმა ჩაიდინა დანაშაული,

ე.ი. მკვლელობა, ჭირისუფლებისათვის დამნაშავედ, ე.ი. სისხლის აღების პირად ჩაითვალოს მხოლოდ და მხოლოდ მკვლელი. მკვლელის ოჯახმა დაზარალებულის პატრონს უნდა გადაუხადოს შემდეგი:

სამარხი: 4 (ოთხი) სული ცხვარი, 2 (ორი) სული ძროხა და 5 (ხუთი) კოდი ხორბალი. დანარჩენი ყველა გადასახადი (აღებმიცემობა) ჩაითვალოს გაუქმებულად როგორც დამნაშავის ნათესავისათვის, ასევე მისი ოჯახისათვის.

2. ქურდობა: ქურდობის შემთხვევაში თუ დაზარალებულმა ქურდს მიაყენა როგორც ფიზიკური დაზიანება, დაჭრა ან მოკლა, ან გადასცა საკანონმდებლო ორგანოებს რის შემდეგაც იგი პატიმრობაში ყოფნისას მოკვდა ან დაიკარგა, ამ შემთხვევაში დაზარალებული ყოველგვარი პასუხისმგებლიდან განთავისუფლდეს და არავითარ პასუხს არ აგებს.

3. ქორწინება: მშობლებისა და შეთანხმების გარეშე ყოველგვარი დანიშვნა, ბელგის აღება ჩაითვალოს არაკანონიერად ანუ არასავალდებულოდ.

4. ქალის მოტაცება: ქალის მოტაცების ან ძალადობის შემთხვევაში, როგორც ქალი, ისე ქალის მშობლები უფლებამოსილია მიმართოს კანონს და კანონის მიერ დამნაშავეზე მიღებულ ყოველგვარ ზომაზე როგორც ქალს, ისე ქალის პატრონებს მოეხსნას ყოველ-გვარი ადათ-წესების სავალდებულო პასუხისმგებლობა და ა.შ.

აღნიშნული ხალხის დადგენილებს დამრღვევს უნდა შესწყვეტოდა თანამემამულებისაგან ყოველგვარი საჭირო დახმარება, როგორც ჭირში, ასევე ლხინში. მისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი ცხადდებოდა ერისა და რჯულის მოღალატედ.

ეს დადგენილება ძალაში შედიოდა 1965 წლის 6 თებერვლიდან, რომელსაც ხელს აწერდა სოფელი დუისიდან 23 კაცი, სოფელ ჯოყოლოდან 7 კაცი, სოფელ ბირკიანიდან 8 კაცი, სოფელ ომალოდან 11 კაცი, სოფელ ხალაწნიდან 3 კაცი. სულ პანკისის მოსახლეობის ყრილობის დადგენილებაზე ხელს აწერდა 52 უხუცესი. ყრილობაზე თავმჯდომარედ არჩეული იყო მახამა იდას ძე ბორჩაშვილი. ყოველ სოფელში არჩეული თავკაცები ანგარიშს აბარებდნენ თავმჯდომარესთან. მართლაც, ყრილობის შემდეგ პირველ ხანებში თითქოს სრულდებოდა ყრილობის დადგენილება, მაგრამ გადიოდა დრო და დადგენილებაც ძალას კარგავდა.

სახელმწიფო კანონების გაძლიერების მიუხედავად ადათობრივი სამართალი და მემფ პიელ – ქვეყნის საბჭო მაინც მოქმედებდა და დღესაც მოქმედებს. ქისტებში დანაშაულის ჩამდენს

სახელმწიფო სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით დადებული სასჯელის მოხდა არ ათავისუფლებდა ძველი ადათობრივი სამართლით გათვალისწინებული წეს-ჩვეულებების აღსრულებისაგან. ამრიგად, დამნაშავეს უხდებოდა ორმაგი განაჩენის აღსრულება – სახალხო და ადათობრივი სამართლისი.

„ქალზე ძალმომრეობა, გატაცება, ჩხუბი, დაჭრა და სხვა წინააღმდეგობა. მართალია, მუდამ თავის დროზე ეცნობება სასამართლოს, პოლიციას, მაგრამ ტყუილად. სამართალ-ადათი ხელთ აქვთ და დამნაშავესაც თვითონ ასამართლებენ. რუსის კანონი მათ ტრადიციასთან სუსტი გამოდგა, – წერდა მათე ალბუთაშვილი [19: 189].

პანკისის ხეობაში ხეობის თავყრილობა, ასე ვთქვათ, მეხთ-ჯიელ რამდენიმე ათეული წელი მივიწყებული იყო, მაგრამ 90-იან წლებში, საზოგადოებაში მოგროვილმა ბევრმა გადაუჭრელმა და საზოგადოებისათვის შეუფერებელმა საჭირბოროტო საკითხებმა ხალხი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მიეწვიათ ყველა სოფლის რჩეული თავკაცები, მიეღოთ სათანადო ზომები არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ გადაწყვეტილებას რაიონის ხელმძღვანელობამაც დაუჭირა მხარი და 1992 წლის მარტში შეიკრიბნენ პანკისის ხეობაში შემავალი ყველა ქისტური სოფლის თავკაცები, უხუცესები, ინტელიგენცია. სოფ. დუისში თავმჯდომარედ აირჩიეს ხეობის ღირსეული შვილი თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი ელდარ აბდულას ძე ბორჩაშვილი.

პროექტი ორი სახისა იყო. „ქისტი ხალხის ზნე ჩვეულებისა და ტრადიციებში ზოგიერთი ცვლილებების შემტანი კომისის პროექტი“. წინასწარ მოსახლეობა ინფორმირებული იყო, თუ რა ძირითადი საკითხები განიხილებოდა, მსურველს შეეძლო საკუთარი აზრი და წინადადება წამოეყენებინა განსახილველად. ხეობის ამ თავ-ყრილობაზე, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღეს და ბევრი რამ შეცვალეს ქისტურ ადათობრივ სამართალში. მაგ. ქურდობისა და ყაჩაღობის აღკვეთის მიზნით გამოაცხადეს და ჯიელ-შიც შეიტანეს შესწორებები, რომ თუ ქურდს პატრონმა მოუსწრო და მოკლა, ამაზე არავითარი პასუხისმგებლობა არ ყოფილიყო. საჯაროდ გამოეცხადებინათ იმათი გვარ-სახელები, რომლებიც საზოგადოებისათვის შეუფერებელ საქმიანობას ეწეოდნენ და პასუხი ოჯახისაგან, გვარისაგან მოეკითხათ.

არასრულწლოვანის მოტაცების აღკვეთის მიზნით დააწესეს, მომტაცებელი გოგოს ოჯახისათვის გადაეხადა 50.000 მანეთი და ასევე კანონის წინაშე ეგო პასუხი და სასჯელი მოეხადა.

ქვეყანაში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, შეამცირეს მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯები.

თუ აქამდე 3-4 ძროხა ან ხარი იყო აუცილებელი, ახლა 1-2 საკლავი დაუშვეს და შეამცირეს სხვა ხარჯებიც. ყოველ სოფელში აირჩიეს თავკაცები, რომელთაც სოფლის საჭირბოროტო საკითხები საერთო თავყრილობაზე უნდა გამოეტანა განსახილველად.

ხეობის თავყრილობა ტარდებოდა თვეში ერთხელ, ხან ორჯერ. საგანგებო ყრილობები რიგგარეშე ეწყობოდა. „ზოგჯერ დღეში ათ საქმეს ვარჩევდით“ – ამბობს ბირკიანის სოფლის თავკაცი გორგიშვილი ბუღდანა. ყველა სადავო საკითხი, რა სფეროსაც არ უნდა შეხებოდა, ხეობის თავყრილობა წყვეტდა და გამოჰქონდა დადგენილებები. რა თქმა უნდა, რაიონის ხელმძღვანელობას, მილიციის ორგანოს და ხეობის თავყრილობებს ნელ-ნელა გამოეცალა საძირკველი. არ იყო მხარდაჭერა ზემდგომი ორგანოებიდან. ითხოვდნენ კანონის ძალით გადაეწყვიტათ საკითხები. ამ გზით მათ ლუკმა უვარდებოდა პირში. ამიტომ იყო, რომ თავყრილობამ დაახლოებით სამი წელი იარსება და შემდეგ შეწყვიტა თავისი მოქმედება“. სამაგიეროდ სოფლის შიგნითა თავყრილობამ შემოინახა თავი და დღესაც აქტიურად ეწევა თავის საქმიანობას. უბრალო საქმეებზეც კი იციან თქმა „შინ საიგე ხეთვეი“ – ორ კაცს შევეკითხოთო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკითხი ადგილობრივ სამართალს ხალხში კვლავ ძალა აქვს და სწამთ, რომ სამართლიანობას მხოლოდ იქ გაარკვევენ. ჰიელ-ში ხომ ადამიანები სუფთა სინდისისა და სამართლიანობის პრინციპით შედიოდნენ. „ში საგ“ – ორი კაცი, ნიშნავს თითო კაცს (მოსამართლეს) ორი მოდავის მხრიდან.

ვეინახებში არსებული „მეხქ-ჰიელ“-ისა და მასში ასარჩევი პიროვნებების შესახებ ასეთი თქმულება არსებობს. ქვეყნის თავყრილობის ერთ-ერთი წევრი გაანთავისუფლეს, საჭირო გახდა ახლის არჩევა და დაასახლეს ღირსეული პიროვნების გვარი, სახელი. გაგზავნეს კაცი კანდიდატის დასაძახებლად. ოჯახში მივიდა, სახლში არ დახვდა და ცოლმა უთხრა, ცხენის მოსანახულებლად მინდორზე წავიდაო. წარგზავნილი წავიდა მითითებულით და რაც ხედავს, კაცი, რომელზეც ამდენი კარგი ითქვა, ცხენს ატყუებს, აჩვენებს რაღაცას, ვითომ სიმინდი აქვს და ცხენიც გახარებული ეტანება, მაგრამ არაფერი აღმოჩნდება მაგ. უკან გაგზავნილმა კაცმა, რომელმაც ნახა ეს სურათი, არაფერი არ უთხრა, დაბრუნდა უფროსებთან და თქვა: „იმის არჩევა არ შეიძლება, მას ტყუილი შეუძლია“ [21:98]. სწორედ, ყოველი წვრილმანი დეტალის გათვალისწინებით ხდებოდა. მეხქ-ჰიელ-ში, თუ საერთოდ, ჰიელ-ში არჩევა.

განსაკუთრებით ძლიერია პანკისის ქისტებში ფიცისადმი დამოკიდებულების საკითხი. „ტყუილზე კი არა მართალზე დაფიცება

ადამიანს ხეირს არ მოუტანს – ამბობს მთხრობელი. ტყუილი ფიცი მის შვიდ თაობამდე გადადის და არ გაახარებს, გვეუბნება იგი. მართალზეც არ დავფიცავ, რაც არ უნდა იყოს და თანხას ჩამოვალ ჩემს წილად, მე ფიცისა მჯერა, მწამს და მეშინია“.

ქისტებში ფიცის სიძლიერე იქიდანაც ჩანს, რომ ნამდვილ ჩადენილ დანაშაულზეც ადამიანმა თუ დაიფიცა, თავისუფლდება, მაგრამ მის მიმართ საზოგადოების შეხედულება იცვლება და ტყუილი ფიცისათვის თვლიან არა კაცად, არაადამიანად. ადათობრივი სამართლის მიხედვით, მედიატორები საქმის გარჩევამდე წინასწარ ფიცს დებდნენ. მათ წინ დაუდებდნენ, მაჰმადიანები ყურანს, ქრისტიანები – სახარების ჯვარს, სპილენძს, ან ვერცხლს და ერთ მუჭა მიწას და ფიცულობენ – „ჩვენი სინდისსა და ჩვეულების მიხედვით გავარჩევთ ამ საქმესო“ [10:№21]. მართალიც, ადათობრივი სამართლის გარჩევას დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მედიატორის სამართლიანობას, მის ავტორიტეტს, საქმისადმი გულწრფელ მოკიდებას რაც მთავარია რწმენას – ღვთის შიშსა და ძლიერების აღიარებას.

სოფ. ხალაწანში მაცხოვრებელი კაცი შემოაკვდა დუისელს და შარშან, მარხვის გახსნის დღეს – ქიიდ დიინ – მთელი ხეობის მორწმუნე უხუცესობა, დილით მეჩეთში ლოცვის შემდეგ მიადგა მოკლულის ოჯახს თხოვნით, რომ სისხლის საფასური აეღო და შერიგებოდნენ ერთმანეთს. მთხრობელთა გადმოცემით, მამამ არც მოუსმინა კარზე მისულებს და სასტიკი უარი უთხრა. ჭიშკარს გამოცილებულებიც არ ვიყავით, რომ მამა უგონოდ დაეცა და მაშინვე გარდაიცვალა. ამ დღეს კარზე მისულები, უარით გამოგვისტუმრა და ღმერთი როგორ აპატიებდაო. – ამბობს მოლაპარაკებაში მონაწილე მოხუცი-მთხრობელი.

ჩვეულებითი საართლის ნორმები და კანონები ქისტებში ძველი დროიდან მოდის. ადათობრივი სამართლის ნორმების რთულ სისტემას ამტკიცებს ჩეჩნური ენის არქაიზმები, როგორიცაა მაგ. მააშარ (მშვიდობა), ბართ (კავშირი), დულამ (შეკრება), ჰეეთაშო (შეთანხმება), ჰიელ (გადაწყვეტილება), ბვიეჰამ (გადახდა), თვიეშამ (დანდობა), თეშ (მოწმე), ღალამ (გამოძიება), ყაილ (საიდუმლოება) [2:102]. თითქმის იგივე სახელწოდებები შემორჩენილი პანკისელ ქისტებში, ოღონდ აქ ღულამის მაგივრად იხმარება – ვეშახჰიეთარ (შეკრება), ღალამის მაგივრად – ძიერ (გამოძიება).

აღსანიშნავია ასევე, დაჭრასთან მიყენებულ ზარალთან და ზიანთან დაკავშირებული ადათობრივი სამართლის კანონები. მაგ. ქისტებში ხანჯლით ჩვლეტა შეფასებულია 10 ძროხად, დარტყმით დაჭრა 5 ძროხად. თვალის ამოგდება ან გაფუჭება

ნახევარი სისხლის ფასი – 30 ძროხაა. ასევე 30 ძროხად არის შეფასებული მკლავის ძირში მოჭრა და ფეხის მოჭრა. ხელის მტევნის მოჭრა 15 ძროხა, ყურის და ცხვირის მოჭრა 15-15 ძროხა. თავის ქალაზე დარტყმა 7 ძროხა იყო, თოფით ან ხმლით დაჭრა 10 ძროხა და ა.შ. ოთხ ჭრილობამდე 5 ძროხა უნდა გადაეხადათ, ხოლო ოთხის ზევით თითოეული ჭრილობა 6 ძროხა ღირდა. ხელის მტევნის ჭრილობები შემდეგნაირად იყო შეფასებული: ნეკა თითი ერთი ძროხა ღირდა, არა თითი – ორი ძროხა, შუა თითი – სამი ძროხა, საჩვენებელი თითი – ოთხი ძროხა, ცერა თითი – ხუთი. გადახდის წესი, აქაც სამ წილად ხდებოდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ.

საინტერესოა ფიცთან დაკავშირებული წესი – ფიცის დადების დროს, თითო ძროხა უდრის თითო კაცის ფიცს, ე.ი. სისხლზე ფიცი ეკისრება 63 კაცს. ეჭვით დაბრალებაზე ფიცი ყოფილა შიბარეით, ანუ ორჯერ თვრამეტი, სულ 36 კაცის ფიცი. ბოლო დროს კი ფიცი ეკისრებოდა 18 კაცს. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ფიცს ძალიან გაურბის მოსახლეობა და ამჯობინებენ გადაიხადონ დაკისრებული, ვიდრე დაიფიცონ.

დღეისათვის პანკისის ხეობაში ცნობილი მედიატორები – ჰიელხუაი – არიან გაურგაშვილი სალმან (დუისში), თუშიშვილი სარდალი, ქუშანაშვილი პაცანა (ჯოყოლში), გორგიშვილი ბუღდანა (ბირკიანში), გორნაკაშვილი ვასია (ომალოში). მათ შორის სამართლიანი გადაწყვეტილრბით გამოირჩევა გაურგაშვილი სალმანა.

მაშასადამე, ქისტური ადათობრივი სამართალი – ჰიელ, რომელიც აწესრიგებს ყოფა-ცხოვრების სადავო საკითხებს, სოციალურ-ეკონომიკურ საჭირბოროტო საკითხებს და ა.შ. პანკისის ქისტებში დიდი პასუხისმგებლობითა და სიმტკიცე-სიძლიერით მოქმედებს და იღებს ჭეშმარიტ გადაწყვეტილებებს. ჰიელ-ს თავისი ძალა და მნიშვნელობა აქვს ქისტების ყოფით ცხოვრებაში და მედიატორების – ჰიელხუაი-ის გამოტანილი გადაწყვეტილებების შესრულება საზოგადოების თითოეული წევრის მოვალეობაა.

დრო-ვითარებასა და ცხოვრებაში ცვლილებასთან ერთად იცვლება პანკისის ქისტებში სხვადასხვა დანაშაულობათა გადახდისა და შერიგების პირობები.

შენიშვნები

1. ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, თბ. 1955
2. Заинди Шахбиев, Судьба Чечено-Ингушского народа, М., 1996
3. Кое-что о Чеченцах, «книга», Грозный, 1992
4. Е. Крупнов. Грузинский храм Гхаба-эрди на Северном Кавказе. АН СССР. Краткие сообщения, иностранные истории, мат. культуры, т. XVI, 1947
5. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979
6. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1959
7. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913
8. ა. შავხელიშვილი, საქართველო-ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XVI-XVIII სს., თბ., 1980
9. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
10. შაქრო, რუისპირი, ფელეტონი, პანკისის ხეობა (ეთნოგრაფიული შენიშვნები) გაზეთ ივერია, 1887 წ., №21
11. ლ. მარგოშვილი, პანკისელი ქისტების წეს-ჩვეულებები და თანამედროვეობა, თბ., 1985
12. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თხზ. ტ. VII, თბ., 1984
13. ვახუშტი ბატონიშვილი, (ქართული სამართლის ისტორია) ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი, თბ., 1973
14. ქართული ჩვეულებითი სამართალი, 3, თბ., 1991
15. Берже А. П. Чечня и Чеченцы. Тф., 1859
16. სერგი მაკალათია, თუშეთი, თბ., 1983
17. სერგი მაკალათია, ფშავი, ტფ., 1934
18. სერგი მაკალათია, ხევსურეთი, ტფ., 1935
19. მათე ალბუთაშვილი, პანკისის ხეობა, თბ., 2005
20. Саидов И., Мехк кхел (совет страны) у Нахов в прошлом, КЭС, Тб., 1968
21. Чеченцы – обычай, традиции, нравы. г. Грозный. 1992

Nazi Borchashvili

The customary law of the Pankisi Kistis

Summary

The origins of the Weinakh people has long been a topic of interest to researchers. Among the Kistis (community of Chechen-Ingush origin residing in the Pankisi Valley in eastern Georgia), disputes and important socio-economic matters are regulated according to customary law, known as *qiel*, which continues to enjoy great respect and authority. Each member of the community is expected to abide by the decisions concluded by customary mediators (*qielxuay*).